ლ.მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის

მუშაობის ექვსი თვის ანგარიში

ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სუბსიდია 2024 წლისათვის განისაზღვრა 97 400 ლარით. მ.შ სახელფასო ფონდი 96 630 ლ. კომუნალური ხარჯები 400 ლ. და სხვა ხარჯები 370 ლარი.

მუზეუმის თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა 3 ერთეულით და 1 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 20 ერთეულს.

მ/წლის ექვსი თვის განმავლობაში მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 495 კაცი.

იანვრის თვეში მუზეუმის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარდა თემატური საღამო ლარაშის ციხესთან დაკავშირებით. საღამოზე განხილული იქნა ციხის შესახებ მოძიებული ფოტო და წერილობითი მასალები. შევადგინეთ პროექტი რომლის ელექრონული ვერსია გადაგზავნილი იქნა კულტურისა და სპორტის სამინისტროში.

-შევქმენით მუზეუმის საიტი ფეისბუქ გვერდზე, რითაც მუზეუმს შესაძლებლობა მიეცა განათავსოს სამუზეუმო შემეცნებითი და კულტურული ინფორმაციები.

-ჩავატარეთ თემატური საღამო ძვ. სვანური ტრადიციის „ქუნარეშ"-ის შესახებ, რომელიც შემონახულია სვანეთში.მიცვალებულთა სულების მოხსენიება ხდება ოჯახებში ერთი კვირის განმავლობაში, ძველით სტილით ახალი წლის დადგომის შემდეგ.

თებერვალში ჩავატარეთ კონკურსი სამუზეუმო ბილეთების მხატვრულ გაფორმებასთან დაკავშირებით. შემუშავდა რამდენიმე ვარიანტი. მათგან შერჩეული იქნა სამი და გადაიგზავნა დასაბეჭდად.

მარტის თვეში ქალის ძველი სვანური ტიპის შესამოსელის შესარჩევად და შესაკერად მიცემ-

ული იქნა შეკვეთა დიზაინერ მარიეტა ლიპარტელიანთან.

აპრილის თვეში ჩვენს მიერ მოძიებული იქნა ძველი სამუზეუმო ექსპონანტები.კერძოდ ფეხ.

საკერავი მანქანა, ძველი რკინის თოხი და ძველი საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც

უსასყიდლოდ გადმოგვცა ივანე ლიპარტელიანმა.

მაისის თვეში ჩტარდა ღონისძიება ,,ღამე მუზეუმში".ერთი კვირის განმავლობაში შესაძლებ-

ელი იყო მსურველებისთვის ღონისძიებებში მონაწილეობა. მოეწყო მხატვრობის სხვადასხვა

ჟანრის გამოფენები.

-26 მაისს ჩატარდა ღონისძიება საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირ-

ებით.

-უმასპინძლეთ ეკომიგრანტებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ივნისის თვეში ჩვენს მიერ მოხდა ეკლესიებში არსებული ძველი საეკლესიო ისტორიული

ნივთების აკრეფა,დამუშავება და შესწავლა.ახლადაყვანილი ფონდების მცველის გიორგი

გაბუნიას მეშვეობით აღნიშნული ნივთები, ხატების და ჯვრების დაზიანებული ნაწილ-

ები დამუშავებული და დანომრილი დროებით ინახება მერიის შენობაში.

ჩვენს მიერ მოძიებული იქნა სპონსორი და მიმდინარეობს მოლაპარაკება სოფ.ბაბილში, ოჯახ-

ში არსებული ნამარხი ნივთების შეძენაზე.

- ახალი საშტარო ერთეულების დამატების გამო სახელფასო ფონდის შესავსებად მუზეუ-

მს წლის ბოლომდე ესაჭიროება 7745 ლარის დამატება, ხოლო ორგანიზაციას ნორმალური

ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება 8 350 ლ. ეს არის კომუნალური, საოფისე, კონდიცირების,

ვიდეო კამერის,სარემონტო და სხვ.აუცილებლად გასაწევი ხარჯები. მთლიანი თანხა - 16 095

ლარი.

ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის

დირექტორი: ი.ონიანი